საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2017 წელი

დადგენილება № 04-01/01

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 71-ე მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. წესდების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა.“.

2. წესდების 53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაასის მე-4 პუნქტი:

„უნივერსიტეტის რექტორს არ შეიძლება სხვა დაწესებულებაში ეკავოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობა ან ასრულებდეს ვადიანი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყოველთვიურ ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.“.

2.აღნიშნული ცვლილების პროექტი განსახილველად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე.მესხია